GRASS
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 10
თარიღი: 9 02 2017 წ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 3 17 00105082

06/02/2017

"ფაქტ-მეტრის" მთავარ რედაქტორს
ბატონ დიმიტრი ავალიანს

ელ.ფოსტა: n.vakhtangashvili@factcheck.ge

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2017 წლის 25 იანვრის N15 განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის N64278; 26.01.2017) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების, ასევე "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის "ზ" პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ შემდეგს:

- „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის N476 დადგენილების თანახმად საჯარო სკოლები უზრუნველყოფილია ყოველთვიური ვაუჩერული დაფინანსებით. აღნიშნული ვაუჩერით საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურებას, ასევე კომუნალურ და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას. „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით პროგრამის „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება" (პროგრამული კოდი 32 02 01) ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებები განისაზღვრება 575.5 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის სქემით განსაზღვრული მასწავლებლების დანამატისთვის გათვალისწინებულია 62.0 მლნ ლარი;
- 2016 წლის დეკემბრის თვის მონაცემებით, საჯარო სკოლებში საგაკვეთილო დატვირთვა გააჩნდა 58 401 (ორმოცდათვრამეტი ათას ოთხასერთი) მასწავლებელს.
- მასწავლებლის სტატუსის მიხედვით მასწავლებლების განაწილება შემდეგია: წამყვანი - 133 (ასოცდაცამეტი), უფროსი - 15 259 (თხუთმეტი ათას ორასორმოცდაცხრამეტი), პრაქტიკოსი - 41 771 (ორმოცდაერთი ათას შვიდასსამოცდათერთმეტი). მონაცემების

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

დამუშავების მომენტისათვის 1 238 (ერთი ათას ორასოცდათვრამეტი) მასწავლებლის სტატუსი არ იყო განსაზღვრული.

- „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანების თანახმად მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოების და თანამდებობრივ სარგოებზე დანამატების გაანგარიშება ხორციელდება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით: მასწავლებლის განათლება და კვალიფიკაცია, სამუშაო სტაჟი, სამუშაო დატვირთვა, სამუშაოს სპეციფიკა, სქემით განსაზღვრული სტატუსი და სკოლის მაღალმთიანი დასახლებაში მდებარეობა. შესაბამისად სხვადასხვა კვალიფიკაციის, სხვადასხვა სტაჟის და დატვირთვის მქონე მასწავლებლის შრომის ანაზღაურება სხვადასხვაა.
- „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანების თანახმად კლასკომპლექტით სწავლების დანამატი (სრული დატვირთვის შემთხვევაში) შეადგენს - 40.50 ლარს, არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატი (სრული დატვირთვის შემთხვევაში) შეადგენს - 40.50 ლარს, კლასის დამრიგებლობის დანამატი შეადგენს - 101.25 ლარს, მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საბაზო დანამატი განისაზღვროს 32.40 ლარის ოდენობით, ხოლო საგაკვეთილო დანამატი ყოველ ჩატარებულ საგაკვეთილო საათზე 6.0 ლარის ოდენობით და სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებელს სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე ეძლევა დანამატი ყოველ დამატებით საგაკვეთილო საათზე კვირაში 6 ლარის ოდენობით.
- რაც შეეხება მასწავლებლის სტატუსის დანამატს, დეკემბრის თვეში არსებული საგაკვეთილო დატვირთის მიხედვით დანამატი მიიღო 15 359 (თხუთმეტი ათას სამასორმოცდაცხრამეტმა) მასწავლებელმა.
- „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანებით განსაზღვრულია მასწავლებლის ერთი თვის საბაზო თანამდებობრივი სარგო 405 ლარის ოდენობით, რომლის ზრდა ამ ეტაპზე დაგეგმილი არ არის, ხოლო კლასკომპლექტით სწავლების დანამატი, კლასის დამრიგებლობის დანამატი და არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატი გამოიანგარიშება შესაბამისი კოეფიციენტების საბაზო თანამდებობრივ სარგოზე გადამრავლებით, რაც გულისხმობს იმას, რომ დანამატების ზრდა ამ ეტაპზე არ არის დაგეგმილი.
- მასწავლებლის საშუალო შრომის ანაზღაურება სრული და სრულზე მეტი დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრა 800 ლარამდე ოდენობით.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი / საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ძიძიგური მარიამი

მ. ძიძიგური